



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კერა“

„კერა“ (შპს), ალტერნატიული ბიოსანვავის ერთადერთი მწარმოებელი კომპანია საქართველოში. დაარსდა 2016 თბილისში. მოიცავს 3 საწარმოს, რ-ებიც განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ესენია: 1. შპს „კ-ის“ შვილობილი კომპანია – ქართულ-უკრაინული საწარმო შპს „Ecolin Energy“ (ზუგდიდი; გადაამუშავებს თხილის ნაჭუჭს); 2. შპს „კ.“ (სოფ. ფშაველი; თელავის მუნიციპალიტეტი, გადაამუშავებს ნახერხს); 3. შპს „კ.“ (სოფ. ფარცხანაყანევი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი; გადაამუშავებს ნახერხს). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავი ბრიკეტების წარმოება, რ-იც მზადდება ბიომასის (ტყეკაფვის, ასევე სანიტარიული ჭრის შედეგად მიღებული ორგ. ნარჩენები, სამხერხაოების, მერქნის გადამამუშავებელი საამქროების და ერთწლიანი კულტურული მცენარეების ნარჩენები, თხილის ნაჭუჭი და სხვ.) ორგ. ნარჩენების გამოყენებით. ქ-ნაში სპეციალურ დანადგარებში ხდება აღნიშნული ბიომასის გამოშრობა, დამუშავება და დაპრესვა, რ-ის შედეგადაც მიიღება კომპაქტურად შეკრული მსუბუქი მასა ბრიკეტის (პელეტის) სახით. ბრიკეტის მასაა საშუალოდ 800 გ, იგი წარმოადგენს ენერჯის მნიშვნელოვან წყაროს და მისი გამოყენება შეიძლება შემის ალტერნატივად. ხისგან განსხვავებით ბრიკეტს ცეცხლი ადვილად ეკიდება, ნაკლებად ბოლავს, წვის დროს თანაბარ ტემპერატურას გამოყოფს და მაღალი თბოკალორიული ღირებულება აქვს. ორგ. მასისაგან დამზადებული ბრიკეტი შეშაზე დიდხანს იწვის, მეტ სითბოს გამოყოფს და იაფია. ის უფრო ადვილად შესანახი და ტრანსპორტაბელურია. შესაბამისად, ბრიკეტი, გარდა ეკოლ. და ენერგოუსაფრთხო თვისებებისა, ბევრად ეკონომიურია.

გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივად. დაგეგმილია ბიოსანვავის (რ-ზეც დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე) გატანა საექსპორტოდ.